# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1500 2016 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარებისა და ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განახორციელოს გრაფიკული სარეკლამო რგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამის - „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი: 32 01 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი